განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 19 მაისი, 2022 წელი

დასკვნა: 7 ივნისი, 2022 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	424066977
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საჯარო მმართველობა Public Administratrion
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საჯარო მმართველობის ბაკალავრი Bachelor of Public Administratrion
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413 Management and Administration
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული (2012 წლის 13 სექტემბრი, №379)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა მაჭარაშვილი, ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით კაკიაშვილი, სტუდენტ-ექსპერტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იურიდიულ ფაკულტეტზე, ითვალისწინებს კურსდამთავრებულისთვის საჯარო მმართველობის ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭებას.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 13 სექტემბრის N379 - გადაწყვეტილებით და მას შემდეგ უწყვეტად ხორციელდება. პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურება 2022 წლის პირველ ივლისს.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულებს მისცეს მრავალხრივი და ფართო ცოდნა საჯარო ადმინისტრირების მენეჯერულ, სოციალურ-პოლიტიკურ და სამართლებრივ კონტექსტში, ჩამოუყალიბოს კრიტიკული აზროვნების უნარი, უზრუნველყოს ლიდერობის პოტენციალის გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს როგორც კურსდამთავრებულის დასაქმებასა და კარიერულ წინსვლას, ასევე ქვეყანაში არსებული საჯარო მმართველობითი პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას (აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 2021). პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- თავისუფალი კომპონენტი (A) – 55 კრედიტი (მათ შორის 50 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსები, მათ შორის უცხოური (ინგლისური, გერმანული, რუსული) ენის კომპონენტი) (B) – 20 კრედიტი, ხოლო 5 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები,
- ძირითადი სასწავლო სფერო-საჯარო სამართლის მოდული (C) – 60 კრედიტი (მათ შორის 50 კრედიტი სავალდებულო, 10 კრედიტი არჩევითი),
- ძირითადი სასწავლო სფერო-ეკონომიკისა და ბიზნესის მოდული (D)—60 კრედიტი (მათ შორის 50 კრედიტი სავალდებულო, 10 კრედიტი არჩევითი),
- ძირითადი სასწავლო სფერო-სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა მოდული (E)- 40 კრედიტი (მათ შორის 30 კრედიტი სავალდებულო, 10 კრედიტი არჩევითი),
- ძირითადი სასწავლო სფერო-პრაქტიკული კომპონენტი (F) -10 კრედიტი,
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (G)- 15 კრედიტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

უშუალოდ ვიზიტამდე, 4 აპრილს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა დისტანციურ რეჟიმში და 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება ექსპერტების მიერ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს საკითხები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარის ფორმის მიხედვით განისაზღვრა და გამოიკვეთა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ეს კითხვები დაისვა 5 აპრილს ინტერვიუერების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებსა და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ოთხი წევრის (ნანა მაჭარაშვილი, ნინო ფარსადანიშვილი, მიხეილ ბიჭია, დავით კაკიაშვილი) შემადგენლობით ამა წლის 5 აპრილს განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი. ვიზიტი დისტანციურ რეჟიმში, Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით განხორციელდა. სამუშაო პროცესის ადმინისტრირება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით წარიმართა. ვიზიტის პირობებში კომისიამ შეისწავლა აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მოახდინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში არსებული ნაკლული ინფორმაციის შევსება და დეტალური ანალიზი. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, დაზუსტდა რიგი ინფორმაცია, დამატებით მოთხოვნილი იქნა განახლებული დოკუმენტაცია (საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ ინფორმაცია, ხარისხის მართვის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები და მონაცემები (პროგრამაში ჩართული იმ აკადემიური პერსონალის შესახებ, რომლებიც მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებსა და უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარების გრანტებში, აკადემიური პერსონალის დატვირთვა, განახლებული მემორანდუმები, ისევე როგორც ინფორმაცია უშუალოდ წარმოდგენილ პროგრამის გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების შესახებ და სხვა). დაწესებულებამ უზრუნველყო დოკუმენტების ექსპერტებისათვის მიწოდება.

დისტანციურ რეჟიმში კომისიამ მუშაობა 10 საათიდან დაიწყო. სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან გაგრძელდა 18.00 საათამდე. სამუშაო განრიგის მიხედვით, შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტის დეკანთან. საბოლოოდ, კომისია ვიზიტის საფუძველზე მიღებული მიგნებების გასაცნობად შეხვდა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროგრამის წამომადგენლებს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კონკრეტულად კი ელექტრონული რესურსებისა და საბიბლიოთეკო კატალოგის დათვალიერება (ბიბლიოთეკა, სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა) და კომისიის მიერ შეფასების მიზნით საჭირო კითხვების დასმა და ინფორმაციის ამოღება.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინაშე წარმოდგენილი საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამა სრულად აკმაყოფილებს მესამე, სტანდარტს (3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;) და მეტწილად შესაბამისობაშია პირველ, მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტთან (1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა, 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა, 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები).

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტი ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას გაცილებით მეტი სისტემურობითა და სრულყოფილებით აწარმოებდეს, რათა დეტალური იყოს საჯარო მმართველობის ბაკალავრის კვალიფიკაციის კურსდამთავრებულთა მიმართ არსებული მოთხოვნები.
  - პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში სწავლის შედეგების გასაანალიზებლად რეკომენდებულია სტუდენტის ანგარიშის და პრაქტიკის ობიექტზე ხელმძღვანელის შეფასების ანგარიშის ფორმების დახვეწა, რათა პრაქტიკის შეფასების პროცესში გამოყენებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების დონის მეტად დადგენის შესაძლებლობა იყოს უზრუნველყოფილი.
  - რეკომენდებულია, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის პირველი მიზნით გათვალისწინებულ ისეთ სამიზნეებთან თავსებადობა, როგორიცაა საჯარო მმართველობის თეორიისა და პრინციპების ცოდნა და კრიტიკული ანალიზი ისე, რომ მეტად აქცენტირებული იყოს უშუალოდ საჯარო მმართველობის თეორეტიკოსთა და ავტორთა მეტად რელევანტურად წარმოდგენა. პროგრამის სტრუქტურაში საჯარო მმართველობის რელევანტური სამართლებრივი, ეკონომიკური, მენეჯერული და სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლების მიღმა, მიზანშეწონილია, პროგრამა მეტად აქტიურად ეფუძნებოდეს და ცალკე სტრუქტურული ერთეულის - მაგ. მოდულის სახით ასახავდეს უშუალოდ საჯარო მმართველობისთვის რელევანტურ შესაბამისი საგნების ერთობლიობას.
  - მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში აქცენტი კეთდება მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სტატისტიკურ მეთოდებზე, მათ შორის საკმაოდ ინოვაციურ კურსზე - სოციალური სტატისტიკა, რეკომენდებულია, რომ პროგრამა ასევე შეიცავდეს თვისებრივი კვლევის მეთოდების ათვისების შესაძლებლობასაც.
  - რეკომენდებულია, რომ პროგრამის ფარგლებში აცილებულ იქნას თემატიკის გადაფარვა, რაც დღეს ფიქსირდება მენეჯმენტის საფუძვლების, სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლების, შესავალი საჯარო მმართველობაში კურსების დონეზე ისეთი თემატიკის გადაფარვით როგორიცა ორგანიზაციული კულტურა, ორგანიზაციული ცვლილებები და ა.შ. ხოლო საჯარო მმართველობის კურსმა მოიცვას საჯარო მმართველობის რეფორმირების სტანდარტები და ასახოს სფეროს განვითარების ტენდენციები და თანამედროვე სტანდარტები.
  - რეკომენდებულია, „ზოგადი ფსიქოლოგიის“ სავალდებულო ლიტერატურა შემცირდეს ისე, რომ მათი გაცნობა სემესტრის განმავლობაში რეალისტური იყოს. ასევე, მიზანშეწონილია, რამდენიმე სასწავლო კურსის („ევროპის სოციალური პოლიტიკა“, „ადამიანის ძირითადი უფლებები“, „პოლიტიკური მეცნიერების შესავალი“, „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“, „საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა“ და სხვა) სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის გვერდების მოცულობა მიეთითოს, რათა ცხადი გახდეს სასწავლო კურსის კრედიტებთან თავსებადობა.
  - რეკომენდებულია, საგნებს „დემოკრატია და მოქალაქეობა“ და „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ შორის ურთიერთგადაფარვა აღმოიფხვრას;
  - რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა“ მიზნების უფრო მეტად უზრუნველსაყოფად სილაბუსის შინაარსი შეივსოს საჯარო მმართველობისთვის რელევანტური საკითხებით.
  - რეკომენდებულია, საგნის „ზოგადი ფსიქოლოგია“ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის ექვსი შედეგი გადმოიცეს მოქმედი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით.
  - რეკომენდებულია, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლება-სწავლის მეთოდები მიზნობრივად იყოს გამოყენებული და გაიმიჯნოს შეფასების ინსტრუმენტებისგან.
  - რეკომენდებულია პრაქტიკის ობიექტების რაოდენობის შემდგომ ზრდაზე ზრუნვა, რათა სტუდენტთა გადანაწილება ხდებოდეს სხვადასხვა ობიექტებზე მეტად დივერსიფიცირებულად და არა ისე, როგორც ეს დღეს ხორციელდება.

- რეკომენდებულია, რომ შეფასების კომპონენტები კურსების შემთხვევაში ნაკლებად ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს და მეტად ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას. ასევე, რეკომენდებულია, რომ კურსების შეფასების კომპონენტებს, რომლებიც დღეს საკმაოდ სტანდარტიზებულია კურსების სპეციფიკურობის პირობებში, თან ახლდეს შესაბამისი დეტალური აღწერილობა, რათა ჩანდეს ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც კურსის ავტორები უყენებენ სტუდენტებს იმ ზოგადი მოთხოვნების მიღმა, რომელიც შეფასების გრადაციებში ჩანს.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამაზე გაიზარდოს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) შესაბამისი დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა, ისევე როგორც გაუმჯობესდეს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) სასწავლო კურსების/კომპონენტების განმახორციელებლი პერსონალის შემადგენლობა.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში აქტიური ჩართვის მიზნით, ასევე მეტად სისტემატიზირებულად მართოს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და შედეგების ანალიზის პროცესი. შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამის ხელმძღვანელმა/თანახელმძღვანელმა და უსდ-ს ადმინისტრაციამ გააააქტიურონ მუშაობა პერსონალთან საჯარო მმართველობის სფეროსთან თავსებადი პუბლიკაციებისა და საკონფერენციო ნაშრომების რაოდენობის ზრდის მიზნებისათვის.
- მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების მექანიზმი გაიმიჯნოს კოლეგიალური შეფასებისგან, აკრედიტაციისას გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად გადადგმული რელევანტური ღონისძიებები კი სრულად აისახოს თვითშეფასების ანგარიშში;
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები სასწავლო კურსების დახვეწის, სასწავლო პროცესის განვითარების, საწარმოო პრაქტიკის შესრულების, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის, პრაქტიკული კომპონენტის გაზრდისა და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიმართულებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად გამოყენებული ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში, სასურველია, რომ უნივერსიტეტმა, კერძოდ კი პროგრამის ხელმძღვანელებმა მეტი ძალის-ხმევა ჩადონ დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის, განსაკუთრებით კი ადგილზე არსებულ, მოთხოვნებთან სწავლის შედეგების თავსებადობის და შესაბამისობის გამოსაკვეთად.
  - სასურველია, რომ დაიხვეწოს სამცხე-ჯავახეთის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტების ანგარიშების ფორმები მასში აკუმულირებული მონაცემების სისტემური ანალიზისა და დამუშავების ვიზუალიზაციის დახვეწით. ამ პროცესში გამოყენებული კითხვარების/გზამკვლევების ფორმები სასურველია მეტად კომპლექსური გახდეს სასურველი ინფორმაციის მიღებისა და ჩაღმავებების შესაძლებლობაზე მეტად ორინეტირებით.
  - სასურველია, რამდენიმე სასწავლო კურსის („ქართული ეროვნული იდენტობა“, „დემოკრატია და დემოკრატიზაციის“, „საარჩევნო სისტემები“ და სხვა) სილაბუსებში არსებული სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს, რაც შეიძლება განხორციელდეს 2.3-ის კომპონენტის აღწერით მიმოხილვაში ჩამოთვლილი შემოთავაზებული ნაშრომების დამატებით.
  - სასურველია, გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმი 6 შედეგის დადგომის უზრუნველსაყოფი და უზრუნველმყოფი კურსების მეტად რელევანტურად იდენტიფიცირების მიზნით.
  - სასურველია, შეფასების მეთოდებში გამოყენებულ იქნას კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტების შედგენა.

- სასურველია, სასწავლო პრაქტიკის კურსის სილაბუსში დაზუსტდეს, რა ფორმით მოხდება მიმღებ დაწესებულებაში აქტივობის შეფასება, რომელიც მოიცავს 7 კრიტერიუმს და თითოეული მათგანის შეფასების მაქს. ქულას 10 წარმოადგენს.
- სასურველია, გაძლიერდეს ბაკალავრიატის სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვის უზრუნველყოფის და მხადაჭერის ღონისძიებები, ასევე, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევებში.
- სასურველია მოწვეული ლექტორების აკადემიურ პოზიციაზე დაწინაურებაც, რომელთაც გააჩნიათ ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) სასწავლო კურსების გაძღოლის შესაბამისი კომპეტენციები, ისევე როგორც ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის პოზიციების შევსება ახალგაზრდა კადრებით.
- სასურველია, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთაგან უკუკავშირის მიღება უფრო მეტად ინტენსიური იყოს, რათა პროგრამაში მათი საჭიროებებისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინება დინამიკურ ხასიათს ატარებდეს.
- სასურველია, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების დებულებამ მოიცვას ისეთი შემთხვევებიც, როცა შესრულებულ დავალებაში მსგავსების კოეფიციენტი 25%-ზე მეტია, მაგრამ აკადემიური კეთილსინდისიერება დაცულია.
- სასურველია, პროფესორ-მასწავლებლებს უფრო მეტად და ინტენსიურად მიაწოდონ ინფორმაცია ყოველსემესტრული გამოკითხვის შედეგების თაობაზე.
- კარგი იქნება, უნივერსიტეტმა დახვეწოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი და მან მოიცვას სასწავლო პროცესის სრული ციკლი (შუალედური და ფინალური გამოცდები, გასაჩივრება და სხვა), ასევე, ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი წინადადებები.
- სასურველია, კოლეგიალური შეფასება სრულყოფილ სურათს იძლეოდეს პროგრამის დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.
- სასურველია პროგრამის ხარისხის ამაღლებისთვის გარე შეფასების ისეთი მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა: პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან გამოხმაურებები, მსგავსი პროგრამების უცხოელი პროფესორების წინადადებები და რეკომენდაციები.
- სასურველია, წინა აკრედიტაციის ფარგლებში გამოთქმული რეკომენდაციების დაკმაყოფილების შესახებ ინფორმაცია დეტალურად იყოს წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - პროგრამას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში საჯარო მმართველობის ცოდნის, უნარებისა და შესაბამისი კომპეტენციების განვითარებაში, რაც ადგილობრივ დონეზე საჯარო მოხელეთა და საჯარო მმართველობის სფეროს განვითარებით დაინტერესებულ არასამთავრობო სექტორში შესაბამისი ადამიანური კაპიტალის განვითარებას და მეტად ინტეგრირებულ მართვას უწყობს ხელს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამა ადგილზე კადრების შენარჩუნების შესაძლებლობების ზრდისკენაა მიმართული.
  - საგულისხმოა, რომ უსდ აქტიურად მონაწილეობს ერაზმუს+ პროგრამაში როგორც ინსტიტუციური განვითარების ასევე სტუდენტების მობილობის უზრუნველყოფის მიმართულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია RURD-ის, DITECH-ის, CURE-ს, ASSET-ის, INTEGRITY-ის და E-PSY-ის პროექტებში მონაწილეობა, რაც არა მხოლოდ ინტერნაციონალიზაციის მიმართულების გასაძლიერებლად არის მნიშვნელოვანი, არამედ პროგრამაში ჩართულ პერსონალს აძლევს შესაძლებლობას, რომ გაიზიაროს და სასწავლო პროცესში დანერგოს საერთაშორისო გამოცდილება.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  - მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ წინა აკრედიტაციის პირობებში მიღებული რეკომენდაციები და რჩევები წარმოდგენილ პროგრამაში მაქსიმალურადაა

გათვალისწინებული. თუმცა, რჩება რეკომენდაციათა ნაწილი, რომელიც კვლავ შესასრულებელია (იხ.დეტალეურად 5 სტანდარტის განმარტებითი და სარეკომენდაციო/რჩევითი ნაწილი და შესაბამისი განმარტებები ქვესტანდარტების მიხედვით, რომელიც შრომის ბაზრის კვლევებსა და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის ნაწილს ეხება).

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე:

- ამა წლის 31 მაისს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ბატონ ნიკოლოზ ფარჯანაძესთვის მიწოდებულ წერილში უნივერსიტეტმა დაადასტურა, რომ ეთანხმება "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს. ამავე წერილში აღნიშნულია, რომ "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნის პროექტში მოცემულ რეკომენდაციებს უნივერსიტეტი იზიარებს და ეთანხმება. უნივერსიტეტის განმარტებით, რეკომენდაციების დიდი ნაწილი უკვე შესრულებულია (მაგალითად, გაზრდილია პრაქტიკის გავლის ობიექტები, გაზრდილია შესაბამისი დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა, გამოცხადებულია კონკურსი საჯარო მმართველობის მიმართულებით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად და სხვა). თუმცა, უნივერსიტეტს არ წამოუდგენია შესაბამისი დამადასტურებლები. ამავდროულად, ეს ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის წარმოდგენის შემდეგაა განხორციელებული. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ვსარგებლობთ უფლებით, უცვლელად დავტოვოთ ჩვენს მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტში ფიქსირებული პოზიციები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შესაბამისია როგორც უსდ-ს მისიასთან, ასევე მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, კერძოდ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის მისიის გათვალისწინებით, რომელიც ეფუძნება უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სწავლებისა და კვლევის გზით, საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის იდეას, პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდა იმ სახით, რომ კურსდამთავრებულს შესძინოს ცოდნა საჯარო მმართველობის თეორიისა და მეთოდოლოგიის, სახელმწიფო მართვისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპების, საჯარო სამსახურის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ფორმებისა და მეთოდების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და განხორციელების თავისებურებების შესახებ, სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის, და სოციალურ-პოლიტიკური მიმართულებების ურთიერთშერწყმით. პროგრამის კურიკულუმი პროგამის მიზნებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, განახლებული ცოდნის საფუძველზე სათანადო დასკვნების ჩამოყალიბების და საკუთარი არგუმენტების თაობაზე სპეციალისტებსა და არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარებთან ერთად. პროგრამას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში საჯარო მმართველობის ცოდნის, უნარებისა და შესაბამისი კომპეტენციების განვითარებაში. საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის მიზანი, რომელსაც მასში ჩართული ყველა პირი იზიარებს, ითვალისწინებს კურსდამთავრებულებს მისცეს მრავალხრივი და ფართო ცოდნა საჯარო ადმინისტრირების მენეჯერულ, სოციალურ-პოლიტიკურ და სამართლებრივ კონტექსტში, ჩამოუყალიბოს კრიტიკული აზროვნების უნარი, უზრუნველყოს ლიდერობის პოტენციალის გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს როგორც კურსდამთავრებულის დასაქმებასა და კარიერულ წინსვლას, ასევე ქვეყანაში არსებული საჯარო მმართველობითი პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. პროგარმის მოცემული მიზნები შესაბამისია როგორც, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ასევე აკრედიტაციის მოცემულ სტანარტთან. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: https://sjuni.edu.ge/ . საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამა ითვალისწინებს რეგიონის (და არამარტო) შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ამზადებს კვალიფიციურ კადრებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან საქართველოს სხვადასხვა ქალაქში როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში, ხოლო პროგრამის მიზნები გაზიარებულია რეგიონის დამსაქმებლ ორგანიზაციებთან და გათვალისწინებულია მათი რეკომენდაციებიც. თუმცა, სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მხოლოდ

საჯარო მმართველობის კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა 2021 წელს განხორციელებული კვლევა 2017, 2018, 2019 და 2020 წელს კურსამთავრებული 72 რესპონდენტის სატელეფონო გამოკითხვის საფუძველზე და თვისებრივი კვლევა დამსაქმებლებთან, რომლის მონაწილეთა რაოდენობა და წარმომადგენლობითობა თავად კვლევაში არ ჩანს. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამაში ჩართული პერსონალის კურსდამთავრებულებთან სამუშაო შეხვედრის ოქმებში ჩანს მხოლოდ 1 დამსაქმებელი, რომელიც ამავდროულად საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წევრია და ხელმძღვანელებისა და პროგრამაში ჩართული პერსონალის დამსაქმებლებთან სამუშაო შეხვედრის მონაწილეა. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტი ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას გაცილებით მეტი სისტემურობითა და სრულყოფილებით აწარმოებდეს, რათა დეტალური იყოს საჯარო მმართველობის ბაკალავრის კვალიფიკაციის კურსდამთავრებულთა მიმართ არსებული მოთხოვნები. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს მას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში;
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა; ○ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის მისია; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერნაციონალიზაციის კონცეფცია; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.sjuni.edu.ge ; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტი ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას გაცილებით მეტი სისტემურობითა და სრულყოფილებით აწარმოებდეს, რათა დეტალური იყოს საჯარო მმართველობის ბაკალავრის კვალიფიკაციის კურსდამთავრებულთა მიმართ არსებული მოთხოვნები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • პროგრამას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში საჯარო მმართველობის ცოდნის, უნარებისა და შესაბამისი კომპეტენციების განვითარებაში, რაც ადგილობრივ დონეზე საჯარო მოხელეთა და საჯარო მმართველობის სფეროს განვითარებით დაინტერესებულ არასამთავრობო სექტორში შესაბამისი ადამიანური კაპიტალის განვითარებას და მეტად ინტეგრირებულ მართვას უწყობს ხელს. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამა ადგილზე კადრების შენარჩუნების შესაძლებლობების ზრდისკენაა მიმართული.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ წინა აკრედიტაციის პირობებში მიღებული რეკომენდაციები და რჩევები წარმოდგენილ პროგრამაში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული. თუმცა, რჩება რეკომენდაციათა ნაწილი, რომელიც კვლავ შესასრულებელია (იხ. დეტალეურად 5 სტანდარტის განმარტებითი და სარეკომენდაციო/რჩევითი ნაწილი და შესაბამისი განმარტებები ქვესტანდარტების მიხედვით, რომელიც შრომის ბაზრის კვლევებსა და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის ნაწილს ეხება).

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. თუმცა, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში კითხვები ჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გამართულია შედეგების მიღწევის გასაზომად გამოყენებული კონკრეტული ინსტრუმენტები პრაქტიკული კომპონენტის გასაზომად. კერძოდ, უნივერსიტეტის მიერ დამატებით წარმოდგენილ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში მოცემულია პრაქტიკის ხელმძღვანელის კმაყოფილების კვლევა, რაც, ვფიქრობთ, დამატებით მართული უნდა იყოს თითოეული სტუდენტის პრაქტიკის შეფასების ფორმებითაც. თავის მხრივ, გასაუმჯობესებელია სტუდენტის ანგარიშის ფორმებიც, რათა პრაქტიკის შეფასების

პროცესში გამოყენებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების დონის მეტად დადგენის შესაძლებლობა უზრუნველყოს. [3]

პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური და შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. თუმცა, პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად გამოყენებული ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში, სასურველია, რომ უნივერსიტეტმა, კერძოდ კი პროგრამის ხელმძღვანელემა მეტი ძალისხმევა ჩადონ დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის, განსაკუთრებით კი ადგილზე არსებულ მოთხოვნებთან თავსებადობის და შესაბამისობის გამოსაკვეთად.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (თვითშფასების ჯგუფში წარმოდგენილი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა). ამავდროულად, პროგრამის ხელმძღვანელებმა უზრუნველყვეს დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობაც.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ეფუძნება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს #26-ე დადგენილებას (სხდომის ოქმი № 6, 2018 წლის 13 მარტი) და უნივერსიტეტის საგანამანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგებს აფასებს პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურსა და პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასება. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი ქმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხთან და აკადემიურ პესონალთან ერთად. მათ მიერ ხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულების შედარება.

ამის მიუხედავად, სასურველია, რომ დაიხვეწოს სამცხე-ჯავახეთის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტების ანგარიშების ფორმები მასში აკუმულირებული მონაცემების სისტემური ანალიზისა და დამუშავების ვიზუალიზაციის დახვეწით. ამ პროცესში გამოყენებული კითხვარების/გზამკვლევების ფორმები სასურველია მეტად კომპლექსური გახდეს სასურველი ინფორმაციის მიღებისა და ჩაღმავებების შესაძლებლობაზე მეტად ორინეტირებით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;

[3] პრაქტიკული კომპონენტის მიზანია სტუდენტებისათვის პრაქტიკაზე დაფუძნებული განათლების მიცემა. პროფესიული პრაქტიკა პროგრამის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს 10 კრედიტის მოცულობით. მისი მიზანია თეორიულ კურსებში მიღებული ცოდნის, უნარების, გამოცდილების შეჯამება და მათი პრაქტიკულად განხორციელება, რაც, თავის მხრივ, წარმატებული პროფესიული საქმიანობის წინაპირობაა. პროფესიული პრაქტიკა გულისხმობს სტუდენტის მიერ პრაქტიკის ადგილზე აქტივობების დამოუკიდებლად განხორციელებას პრაქტიკის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით. სტუდენტის სასწავლო პრაქტიკა შეიძლება განხორციელდეს საჯარო დაწესებულებებში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, ასევე შესაბამისი პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.

- სწავლის შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.sjuni.edu.ge ;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში სწავლის შედეგების გასაანალიზებლად რეკომენდებულია სტუდენტის ანგარიშისა და პრაქტიკის ობიექტზე ხელმძღვანელის შეფასების ანგარიშის ფორმების დახვეწა, რათა პრაქტიკის შეფასების პროცესში გამოყენებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების დონის მეტად დადგენის შესაძლებლობა იყოს უზრუნველყოფილი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად გამოყენებული ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში, სასურველია, რომ უნივერსიტეტმა, კერძოდ კი პროგრამის ხელმძღვანელემა მეტი ძალისხმევა ჩადონ დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის, განსაკუთრებით კი ადგილზე არსებულ, მოთხოვნებთან სწავლის შედეგების თავსებადობის და შესაბამისობის გამოსაკვეთად.
- სასურველია, რომ დაიხვეწოს სამცხე-ჯავახეთის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტების ანგარიშების ფორმები მასში აკუმულირებული მონაცემების სისტემური ანალიზისა და დამუშავების ვიზუალიზაციის დახვეწით. ამ პროცესში გამოყენებული კითხვარების/გზამკვლევების ფორმები სასურველია, მეტად კომპლექსური გახდეს სასურველი ინფორმაციის მიღებისა და ჩაღმავებების შესაძლებლობაზე მეტად ორინეტირებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები (ქართულ ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ისტორია/მათემატიკა) და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება, ისწავლოს საბაკალავრო პროგრამაზე. უნივერსიტეტში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აბიტურიენტმა უნივერსიტეტში სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე

სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე უნარ-ჩვევების ტესტს და აფხაზურ ან ოსურ ენას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოელი მოქალაქეებისათვის სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B1+/B2 დონეზე ცოდნა, რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეები წარმოადგენენ სერტიფიკატს ქართული ენის შესაბამის დონეზე ფლობის შესახებ, ან აბარებენ გამოცდას ქართულ ენაში. სერტიფიკატის აღება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში უცხოელთათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში. პროგრამაზე ასევე შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს და უცხო ქვეყნის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა და უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებმა. საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა მობილობის ფარგლებში–უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად. ასევე, უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განემარტება შესაბამის დაინტერესებულ პირებს საკონსულტაციო შეხვედრებისა და პროგრამაზე ჩაბარების მსურველ აბიტურიენტებთან შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენების დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის პირველი მიზნით გათვალისწინებულ ისეთ სამიზნეებთან თავსებადობა, როგორიცაა საჯარო მმართველობის თეორიისა და პრინციპების ცოდნა და კრიტიკული ანალიზი, საჭიროებს მეტ აქცენტირებას უშაულოდ საჯარო მმართველობის თეორეტიკოსთა და ავტორთა მეტად რელევანტურად წარმოდგენას. პროგრამის სტრუქტურაში საჯარო მმართველობის რელევანტური სამართლებრივი, ეკონომიკური, მენეჯერული და სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლების მიღმა, სასურველია პროგრამა მეტად აქტიურად ეფუძნებოდეს და ცალკე სტრუქტურული ერთეულის - მაგ. მოდულის სახით ასახავდეს უშუალოდ საჯარო მმართველობისთვის რელევანტურ შესაბამისი საგნების ერთობლიობას.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში აქცენტი კეთდება მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სტატისტიკურ მეთოდებზე, მათ შორის საკმაოდ ინოვაციურ კურსზე - სოციალური სტატისტიკა, რეკომენდირებულია, რომ პროგრამა ასევე შეიცავდეს თვისებრივი კვლევის მეთოდების ათვისების შესაძლებლობასაც.

რეკომენდებულია, რომ პროგრამის ფარგლებში აცილებულ იქნას თემატიკის გადაფარვა, რაც დღეს ფიქსირდება მენეჯმენტის საფუძვლების, სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლების, შესავალი საჯარო მმართველობაში კურსების დონეზე ისეთი თემატიკის გადაფარვით, როგორიცა ორგანიზაციული კულტურა, ორგანიზაციული ცვლილებები და ა.შ. ხოლო საჯარო მმართველობის კურსმა მოიცვას საჯარო მმართველობის რეფორმირების სტანდარტები და ასახოს სფეროს განვითარების ტენდენციები და თანამედროვე სტანდარტები.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, ეფუძნება ახალი კვლევის შედეგებს და დარგის თანამედროვე მიღწევებს. თუმცა, რიგ კურსებთან მიმართებაში,

როგორც ეს შემდგომ სტანდარტთან მიმართებაში იქნება დეტალურად წარმოდგენილი, საჭიროებს გაუმჯობესებას უახლესი ლიტერატურისა და საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტური სიახლეების მასში ინტეგრირების დონეზე. საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას. როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და ვიზიტის დროს შემდგარი ინტერვიუებიდან ირკვევა, პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა). უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, რა მიზნითაც აქტიურად გამოიყენება უნივერსიტეტის ვებგვერდი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ კურიკულუმის რუკა; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის პირველი მიზნით გათვალისწინებულ ისეთ სამიზნეებთან თავსებადობა, როგორიცაა საჯარო მმართველობის თეორიისა და პრინციპების ცოდნა და კრიტიკული ანალიზი საჭიროებს მეტ აქცენტირებას უშაულოდ საჯარო მმართველობის თეორეტიკოსთა და ავტორთა მეტად რელევანტურად წარმოდგენას. პროგრამის სტრუქტურაში საჯარო მმართველობის რელევანტური სამართლებრივი, ეკონომიკური, მენეჯერული და სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლების მიღმა, რეკომენდებულია პროგრამა მეტად აქტიურად ეფუძნებოდეს და ცალკე სტრუქტურული ერთეულის - მაგ. მოდულის სახით ასახავდეს უშუალოდ საჯარო მმართველობისთვის რელევანტურ შესაბამისი საგნების ერთობლიობას. • მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში აქცენტი კეთდება მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სტატისტიკურ მეთოდებზე, მათ შორის საკმაოდ ინოვაციურ კურსზე - სოციალური სტატისტიკა, რეკომენდებულია, რომ პროგრამა ასევე შეიცავდეს თვისებრივი კვლევის მეთოდების ათვისების შესაძლებლობასაც. • რეკომენდებულია, რომ პროგრამის ფარგლებში აცილებულ იქნას თემატიკის გადაფარვა, რაც დღეს ფიქსირდება მენეჯმენტის საფუძვლების, სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლების, შესავალი საჯარო მმართველობაში კურსების დონეზე ისეთი თემატიკის გადაფარვით, როგორიცა ორგანიზაციული კულტურა, ორგანიზაციული ცვლილებები და ა.შ. ხოლო საჯარო მმართველობის კურსმა მოიცვას საჯარო მმართველობის რეფორმირების სტანდარტები და ასახოს სფეროს

განვითარების ტენდენციები და თანამედროვე სტანდარტები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შერჩეული სასწავლო სახელმძღვანელოები და შეთავაზებული ელექტრონული ლიტერატურა, ძირითადად, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა რამდენიმე სასწავლო კურსის **სილაბუსის შინაარსში ჩანს გარკვეული ცვლილებების შეტანის საჭიროება**: ➢ პირველ რიგში, აუცილებელია ზოგიერთი საგნის შინაარსის დახვეწა, საგნის მიზნებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით: მაგალითად, **სასწავლო დისციპლინის**

„საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა“ სილაბუსის შინაარსში დომინირებს ადმინისტრაციული სამართლის საკითხები (ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და სხვა), რომლებიც ცალკე აღებული უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მაგრამ აუცილებელია სილაბუსში უშუალოდ **საჯარო მმართველობისთვის რელევანტური საკითხების გათვალისწინება.** ამ საგნის მიზნებისთვის **სილაბუსში შეიძლება აისახოს: საჯარო მმართველობის გამჭვირვალობა, ადმინისტრაციული სამართალწარმოება და ადმინისტრაციული წარმოება, საჯარო მმართველობა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა, სივრცითი მოწყობა,** მშენებლობის წარმოება, სამეწარმეო წესრიგი და სხვა.

- მეორე, **„დემოკრატია და მოქალაქეობა“ და „საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის“ სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში ჩანს <u>თემების ურთიერთგადაფარვა.</u>** მაგალითად, საგნის „დემოკრატია და მოქალაქეობა“ სილაბუსით გათვალისწინებული **რიგით მესამე თემა მეორდება** სასწავლო კურსის „საქართველოს საკონსტიტუციო **სამართლის“ მე-2 თემაში, ასევე,** „დემოკრატია და მოქალაქეობა“ **მე-7 თემა გვხვდება „საქართველოს** საკონსტიტუციო **სამართლის“ მე-4 თემად** და სხვა.
- **მესამე, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში <u>უახლესი ლიტერატურის</u> ინტეგრირების საჭიროება** არსებობს:
  - **საგნის „ადგილობრივი თვითმმართველობა“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში დასახელებულია** 2015 და 2016 წლებში გამოცემული ნაშრომები. კარგი იქნება, სავალდებულო ლიტერატურაში აისახოს უფრო ახალი ნაშრომები. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ნაშრომები: ა. შენგელია, **ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა და მისი სრულყოფის პერსპექტივები საქართველოში, თბ., 2019; ი. ურუშაძე, ადგილობრივი თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის სახელმძღვანელო, თბ., 2020 და სხვა.**
  - სასწავლო დისციპლინის **„ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში“** მიზნებისთვის სასურველია, **სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს შემდეგი ნაშრომი:** პ. ტურავა, ა. ფირცხალაშვილი, მ. დვალიშვილი და სხვ., საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, კომენტარები, თბ., 2018;
  - **საგნის „საარჩევნო სისტემები“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურა შეიცავს მხოლოდ 1 ნაშრომს (რომელიც 2014-2015 წელსაა გამოცემული). არადა სასწავლო დისციპლინის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია სავალდებულო ლიტერატურის განახლება.** სასურველია, ამ საგნის სავალდებულო ლიტერატურაში იყოს წარმოდგენილი შემდეგი ნაშრომები: საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის, თბ., 2015-2016; დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, თბ., 2018 და სხვ.
  - სასწავლო **კურსის „ქართული ეროვნული იდენტობა“ სილაბუსით**

სავალდებულო ლიტერატურაში <u>**მითითებულია მხოლოდ 2013, 2014 და 2016**</u> **წლებში გამოცემული ნაშრომები, თუმცა სავალდებულო ლიტერატურის განახლება უდავოდ წაადგებოდა საგანს. შემოთავაზებულია** შემდეგი უახლესი კვლევები: მ. ჩიხრაძე, ქ. შავგულიძე, მ. შერგელაშვილი, მ. სახლთხუციშვილი, ლ. ქარაია, ინტეგრაცია და იდენტობა, თბ., 2019; მ. ჩხარტიშვილი, ქართული ეროვნული იდენტობა: კვლევისათვის რელევანტური თეორიული მიდგომის შერჩევის საკითხი, თბ., 2020 და სხვა.

- ❖ ასევე, **„დემოკრატია და მოქალაქეობა“** სასწავლო კურსის სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურა **შეიცავს 2011 და 2013 წლებში გამოცემულ ნაშრომებს. საგნის მიზნებისთვის სასურველია აღნიშნული დისციპლინის** სავალდებულო ლიტერატურაში **დამატებით უახლესი** ნაშრომების ასახვა, მით უფრო, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. ასეთად **შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ნაშრომები:** შემდგ.: შ. მაღლაკელიძე, დ. მალაზონია, თ. ტალიაშვილი და სხვა, სამოქალაქო განათლება და დემოკრატია საქართველოში: გამოწვევები და განვითარების გზები, თბილისი, 2018; ი. ბერლინი, რ. კაგანი და სხვ., პოლიტიკა და დემოკრატია: აუცილებელი საკითხავი = Politics and democracy: Essential reading: ესეების კრებული. წ. 2, მთარგმნელები: თ. შარაშენიძე და სხვ., თბ., 2017; მ. არეშიძე, ზ. დავითაშვილი, დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტის ტრანსფორმაცია საქართველოში: (სიტუაციური ანალიზი), 2011 წლის ივლისი-სექტემბერი, თბ., 2012.

- ➢ ამასთან, **„ზოგადი ფსიქოლოგიის“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია 8 ნაშრომი, თუმცა საბაკალავრო** პროგრამის სტუდენტისთვის ნაკლებად რეალისტურად გამოიყურება მათი გაცნობა, ასევე, არაა სავალდებულო ლიტერატურის გვერდები მითითებული. ამ შემთხვევაში სილაბუსში, ერთი მხრივ, <u>**სავალდებულო ლიტერატურის გვერდების მოცულობა უნდა მიეთითოს,**</u> მეორე მხრივ, **სავალდებულო ლიტერატურის გაცნობა** <u>**სემესტრის განმავლობაში რეალისტური**</u> უნდა იყოს, რათა არ დარჩეს შთაბეჭდილება, რომ კურსის მიმდინარეობისას ლიტერატურათა დიდი ჩამონათვალის **გაცნობა შეუძლებელია. შესაბამისად, იგრძნობა „ზოგადი ფსიქოლოგიის“ სილაბუსით დადგენილი სავალ-დებულო ლიტერატურის დამხმარე** ლიტერატურაში გადანაწილების საჭიროება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **„ზოგადი ფსიქოლოგიის“ სილაბუსში** <u>**სწავლის შედეგები მოიცავს ექვს კომპონენტს, თუმცა აუცილებელია სწავლის შედეგები განახლდეს, ეროვნული** კვალიფიკაციის</u> ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით.
- ➢ **„პოლიტიკური მეცნიერების შესავალი“** სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურა **შეიცავს სამ ნაშრომს, რომელთა გვერდების მოცულობა მთლიანობაში 1000 გვერდს** სცდება, რაც 5-კრედიტიანი საგნისთვის დადგენილ მოთხოვნებს აღემატება. ჩანს, რომ ბაკალავრიატის სტუდენტისთვის ამ ნაშრომების გაცნობა სემესტრის განმავლობაში ნაკლებად რეალისტურად გამოიყურება. თუ „პოლიტიკური **მეცნიერების შესავალი“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურასა და ასახსნელი სალექციო თემების გვერდით მიეთითება** გამოსაყენებელი ლიტერატურის

გვერდები, დადგინდება, რა მოცულობის გაცნობა ევალება სტუდენტს და რამდენად მიღწევადია ეს სემესტრის განმავლობაში. ➢ გარდა ამისა, **რამდენიმე საგნის** („ევროპის სოციალური პოლიტიკა“, **„ადამიანის ძირითადი უფლებები“, „საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა“, „ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში“,** „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „ადგილობრივი თვითმმართველობა“, „პროფესიული ეთიკა საჯარო სამსახურში“ და სხვა) სილაბუსით <u>არაა სავალდებულო ლიტერატურის გვერდები მითითებული</u>. **ამისგან განსხვავებული სურათია წარმოდგენილი ზოგიერთი საგნის** („დემოკრატია და მოქალაქეობა“, „აკადემიური წერა“, „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ და სხვ.) სილაბუსში. მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, სასწავლო კურსების **სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის გვერდების მითითება,** მეორე მხრივ, **სილაბუსების შევსების მიმართ მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი მიდგომის** გავრცელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ საბიბლიოთეკო რესურსები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, „ზოგადი ფსიქოლოგიის“ სავალდებულო ლიტერატურა შემცირდეს ისე, რომ მათი გაცნობა სემესტრის განმავლობაში რეალისტური იყოს. ასევე, მიზანშეწონილია, რამდენიმე სასწავლო კურსის („ევროპის სოციალური პოლიტიკა“, „ადამიანის ძირითადი უფლებები“, „პოლიტიკური მეცნიერების შესავალი“, „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“, „საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა“ და სხვა) სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის გვერდების მოცულობა მიეთითოს, რათა ცხადი გახდეს სასწავლო კურსის კრედიტებთან თავსებადობა. • რეკომენდებულია, საგნებს „დემოკრატია და მოქალაქეობა“ და „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ შორის ურთიერთგადაფარვა აღმოიფხვრას; • რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა“ მიზნების უფრო მეტად უზრუნველსაყოფად სილაბუსის შინაარსი შეივსოს საჯარო მმართველობისთვის რელევანტური საკითხებით. • რეკომენდებულია, საგნის „ზოგადი ფსიქოლოგია“ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის ექვსი შედეგი გადმოიცეს მოქმედი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რამდენიმე სასწავლო კურსის („ქართული ეროვნული იდენტობა“, „დემოკრატია და დემოკრატიზაციის“, „საარჩევნო სისტემები“ და სხვა) სილაბუსებში არსებული სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს, რაც შეიძლება განხორციელდეს 2.3-ის კომპონენტის აღწერით მიმოხილვაში ჩამოთვლილი შემოთავაზებული ნაშრომების დამატებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და/ან მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას. ამ მიზნით მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ძირითადი სასწავლო სფეროს-პრაქტიკული კომპონენტს (10 ECTS) და სასწავლო პროგრამის მეექვსე შედეგთან რელევანტურ სასწავლო კურსებს.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და ხორციელდება ბოლო სემესტრის განმავლობაში. დასტურდება ისიც, რომ პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი. ვიზიტის დრო დადგინდა, რომ არის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა რამდენიმე დამსაქმებელთან, რომლებიც მზად არიან მიიღონ სსიპ სამცხე-ჯავახეთის საჯარო მმართველობის სტუდენტები, ხოლო 2022 წლის საგაზაფხულო სემესტრში 51 სტუდენტის მიღება გათვალისიწნებულია ერთი პრაქტიკის ობიექტზე. შესაბამისად, როგორც ვიზიტის დროს გამოთხოვნილ ინფორმაციაზე, ისე

დამსაქმებლებთან შეხვედრის შედეგად განხორციელებული ინტერვიუებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთი მხრივ, გასამართია როგორც პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის ანგარიშგების ფორმები, რომ მეტად რელევანტური გახდეს შესაფასებელ კრიტერუმებთან თავსებადობა (1.2 ქვესტანდარტში წარმოდგენილი რეკომენდაცია), ისე ხელმძღვანელების შეფასების ფორმები, მეორე მხრივ კი საჭიროა პრაქტიკის ობიექტების რაოდენობის შემდგომ ზრდაზე ზრუნვა, რათა სტუდენტთა გადანაწილება ხდებოდეს სხვადასხვა ობიექტებზე მეტად დივერსიფიცირებულად და არა ისე, როგორც ეს დღეს ხორციელდება. დამსაქმებლებთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების რაოდენობა, მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის მართვის ინსტრუმენტების გამოყენების პირობებში აქტიურად დადასტურდა პროგრამის პრაქტიკული ნაწილის გაუმჯობესების აუცილებლობა, დიდი არაა - ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში, ინტერესთა შეუთავსებლობა და პროფესიული ეთიკა საჯარო სამსახურში, სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები, აღრიცხვა საბიუჯეტო დაწესებულებებში. ამის მიუხედავად, არსებობს რიგი სასწავლო კურსები, მაგალითად, საჯარო პოლიტიკის პროცესი და ანალიზი, რომელიც პოლიტიკურ დოკუმენტების მუშაობის პრაქტიკის შემცველია და არაა ასახული 6 შედეგის უზრუნველმყოფ მექანიზმებში. შესაბამისად, სასურველია, გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმი 6 შედეგის დადგომის უზრუნველსაყოფი და უზრუნველმყოფი კურსების მეტად რელევანტურად იდენტიფიცირების მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობას, რითაც მხარს უჭერს სამეცნიერო უნარების განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ მემორანდუმები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია პრაქტიკის ობიექტების რაოდენობის შემდგომ ზრდაზე ზრუნვა, რათა სტუდენტთა გადანაწილება ხდებოდეს სხვადასხვა ობიექტებზე მეტად დივერსიფიცირებულად და არა ისე, როგორც ეს დღეს ხორციელდება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმი 6 შედეგის დადგომის უზრუნველსაყოფი და უზრუნველმყოფი კურსების მეტად რელევანტურად იდენტიფიცირების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლისას გამოვლინდა, რომ საგნების გარკვეულ ნაწილში სწორადაა სწავლების მეთოდები გამოყენებული, რაც მისასალმებელია. საქმე ისაა, რომ რამდენიმე სასწავლო დისციპლინის (**„გერმანული ენა 1 (საწყისი A1)“, „გერმანული ენა 2 (საწყისი A2)“, „გერმანული ენის პრაქტიკული კურსი 2+“, „რუსული ენა - I A1“, „რუსული ენის პრაქტიკული კურსი1 B1**“ და სხვ.) სილაბუსში გვხვდება საგნის შესატყვისი სწავლების მეთოდები: **ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, ახსნა-განმარტებითი, ქმედებაზე** ორიენტირებული სწავლება და სხვა. ასევე, **„ინფორმატიკის“ სილაბუსში სწავლების მეთოდებად დასახელებულია: სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული** მუშაობა, დემონსტრირება, ელექტრონული რესურსით სწავლება, დისტანციური სწავლება და ა.შ. **ამ საგნებში სწავლების მეთოდთა მრავალფეროვნება აშკარაა და საბაკალავრო პროგრამის** საფეხურის მოთხოვნებსაც შეესაბამება. თუმცა აქვე დადგინდა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში არსებობს **სწავლების მეთოდთა გამრავალფეროვნების** საჭიროება: • საგნის **„საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“** სილაბუსში სწავლების მეთოდებად გამოყენებულია **მხოლოდ ლექცია და სემინარი.** ანალოგიურ პრობლემას ვაწყდებით შემდეგი სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში: **„საჯარო**

პოლიტიკის პროცესი და ანალიზი“, „პოლიტიკური სოციოლოგია“, „მენეჯმენტის საფუძვლები“, „ეკონომიკური პოლიტიკა“, „ადამიანის ძირითადი უფლებები“, „საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემა“, „ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში“, „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „ადგილობრივი თვითმმართველობა“, „პროფესიული ეთიკა საჯარო სამსახურში“, „დემოკრატია და მოქალაქეობა“, „ევროკავშირის სამართალი“ და სხვა. შესაბამისად, სილაბუსებში სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნების საჭიროება დგინდება. მაგალითად, მნიშვნელოვანია, დაემატოს სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა: **ინდუქცია-დედუქცია, ანალიზი, სოკრატესეული, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** და სხვა.

- მეორე მხრივ, სწავლება-სწავლის მეთოდებისას გამოყენებულ აქტივობებად პროგრამით გათვალისწინებულია: <u>ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, წიგნზე მუშაობა,</u> ვერბალური, დემონსტრირება, **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, ევრისტიკული მეთოდი, ქმედებაზე დაფუძნებული** სწავლება, როლური და სიტუაციური თამაშები, ანალიზი და სხვა. **არადა მათი უმეტესობა სწავლების მეთოდებია.** მაგალითად, „**აკადემიური წერის“ სილაბუსით სწავლების მეთოდებად გვხვდება ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება, აქტივობებად კი - დისკუსია, <u>დემონსტრირება, პრეზენტაცია,</u> შემთხვევის ანალიზი. სწავლების მეთოდებსა და აქტივობებს შორის აღრევის** პრობლემას ვაწყდებით სხვა საგნების სილაბუსებშიც. სახელდობრ, რამდენიმე სასწავლო დისციპლინის (**„ინგლისური ენა A1“, „ინგლისური ენა A2“, „ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი 1“, „ინგლისური ენის კურსი** 3“ და სხვ.) სწავლების **ძირითად მეთოდებად მითითებულია სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული** რესურსით სწავლება, ხოლო აქტივობებად გათვალისწინებულია **გონებრივი იერიში, ჯგუფური მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, ქმედებაზე დაფუძნებული სწავლება** და სხვა.

ექსპერტთა ჯგუფის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით გარკვეული საკითხები განიმარტოს: სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს სტუდენტებისთვის შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებასა და სასწავლო კურსით დადგენილი მიზნების მიღწევას. **სწავლების მეთოდში მოიაზრება მასალის მიწოდების ერთგვარი სისტემური ხერხი, გზა თუ ტექნიკა,** რომელიც ეხმარება ლექტორს სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვასა და სტუდენტებისთვის რელევანტური კომპეტენციების გამომუშავებაში. ცხადია, ლექტორმა უნდა გააკეთოს აქცენტები სწავლების იმ მეთოდებზე, რომლებიც სტუდენტს დაეხმარება არა მარტო ინფორმაციის ათვისებაში, არამედ ზოგადი/ტრანსფერული თუ სპეციალობის ფარგლებში რელევანტური დარგობრივი უნარების გამომუშავებაში. **აქტივობაში სხვა შინაარსია ჩადებული. მისი არსის გადმოსაცემად უნდა გაეცეს პასუხი შეკითხვას: რა სახის დავალებას ასრულებს სტუდენტი? სწავლების მეთოდის** დასადგენად უნდა გაეცეს პასუხი შემდეგ შეკითხვას: **როგორ ან რომელი ხერხის (მეთოდის) გამოყენებით ასრულებს სტუდენტი გადაცემულ დავალებას?**

ამდენად, სწავლების მეთოდი და აქტივობა ერთმანეთისგან განსხვავდება, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მათი ერთმანეთში აღრევა არაა გამართლებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლება-სწავლის მეთოდები მიზნობრივად იყოს გამოყენებული და გაიმიჯნოს შეფასების ინსტრუმენტებისგან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“. თუმცა, კურსების უმრავლესობისთვის დამახასიათებელია შეფასების კომპონენტების იდენტურობა, რომელიც, ხშირ

შემთხვევაში, საერთოა (შუალედური შეფასება, რომელიც, უმრავლეს შემთხვევაში, 70 პროცენტიანი წილითაა წარმოდგენილი, მოიცავს ზეპირ გამოკითხვას [მითითებით ტესტირება, რაც მის იდენტიფიკატორთან წინააღმდეგობაში მოდის], წერით დავალებას და შუალედურ გამოცდას, ხოლო დასკვნითი შეფასება, როგორც წესი, 30 პროცენტიანი წილით). გარდა ამისა, სილაბუსებში გამოხატულია მხოლოდ შეფასების ფორმის დასახელება და არ არის ჩაშლილი აღწერილობა იმის, თუ რისი გაკეთება უწევს სტუდენტს შესაბამის კომპონენტში შეფასების მისაღებად. სასურველია, რომ თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას და კურსის სწავლის შედეგებს. მასში ხორციელდებოდეს მეტი დეტალიზაციით შესაფასებელი კრიტერიუმის მოთხოვნების გაწერა. ასევე სასურველია, შეფასების მეთოდებში გამოყენებულ იქნას კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტების შედგენა.

აკრედიტაციის ვიზიტის გასაუბრების დროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან აღნიშნულ იქნა უნივერსიტეტის მხარდაჭერა. ფაკულტეტზე დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მხარდაჭერისთვის ორგანიზებულ იქნა სხვადასხვა საჭირო ტრეინინგები და მათი განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებები. მაგალითად 2019 წელს ჩატარებული ვორქშოპი - შეფასების ინსტრუმენტები უმაღლესი განათლების სასწავლო გარემოსთვის.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. შეფასების კრიტერიუმები, თუ გვერდზე გადავდებთ მათ უნიფიცირებულ ხასიათს, გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსებში. თითოეულ მათგანს ახლავს შეფასების კონკრეტული კომპონენტები, შეფასების ფორმები და მეთოდები, რომელიც მეტად დეტალურ შინაარსობრივ დაზუსტებას საჭიროებს მოთხოვნების გაწერის დონეზე, არის გამჭვირვალე, წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის და დამატებით ასევე განთავსებულია სტუდენტის ელექტრონულ ბაზაზე, აგრეთვე, სტუდენტებს მიეწოდება ამობეჭდილი სახით სასწავლო სემესტრის დასაწყისში სასწავლო კურსის აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ. შეფასება სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ. მაგრამ არის ერთი გამონაკლისი, კერძოდ, სასურველია, სასწავლო პრაქტიკის კურსის სილაბუსში დაზუსტდეს, რა ფორმით მოხდება მიმღებ დაწესებულებაში აქტივობის შეფასება, რომელიც მოიცავს 7 კრიტერიუმს და თითოეული მათგანის შეფასების მაქს. ქულას 10 წარმოადგენს.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფცია, რომელშიც გაწერილია პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის და რეაგირების წესი, სასურველია, დაზუსტდეს ბაკალავრიატის საფეხურზე რა ტიპის ნაშრომებთან გამოიყენება ანტიპლაგიატის პროგრამა, გარდა საბაკალავრო ნაშრომისა, და გაიზარდოს ბაკალავრიატის სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხი აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხთან დაკავშირებით, რადგან აკრედიტაციის ვიზიტის გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა სიცხადის ნაკლებობა ამ საკითხთან მიმართებით.

სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, როგორც სასემინარო აქტივობებისას, ასევე მათთვის გამოყოფილი საკონსულტაციო საათების დროს. ინტერვიუების პროცესში სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ლექტორებთან შესაძლებელია კომუნიკაცია ელექტრონული მეილისა და სატელეფონო არხების საშუალებით.

უნივერსტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა გამოცდების გასაჩივრების წესი. კონკურსანტი/სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შედეგს, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს ფაკულტეტს და საგამოცდო ცენტრს და მოითხოვოს გამოცდების შედეგების გადასინჯვა. საჩივარი დასაშვებია, თუ კონკურსანტი/სტუდენტი უთითებს ა) პროცედურულ დარღვევებზე; ბ) შეფასების დადგენილი სისტემის უგულველყოფაზე; გ) ან არ ეთანხმება მასწავლებლის შენიშვნებს;

დ) ელექტრონული გამოცდის შემთხვევაში ტესტში არსებული დასაბუთებული ხარვეზის გამო. უნივერსიტეტის ფაკულტეტის მიერ შექმნილი სააპელაციო კომისია საჩივრის მიღებიდან 15-დღიან ვადაში განიხილავს საჩივარს და იღებს გადაწყვეტილებას საჩივართან დაკავშირებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო კურსების შეფასების შედეგების ანალიზის და არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საჯარო მმართველობა“; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი; ○ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია; ○ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უკუკავშირი კვლევის შედეგებზე.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, რომ შეფასების კომპონენტები კურსების შემთხვევაში ნაკლებად ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს და მეტად ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას. ასევე, რეკომენდებულია, რომ კურსების შეფასების კომპონენტებს, რომლებიც დღეს საკმაოდ სტანდარტიზებულია კურსების სპეციფიკურობის პირობებში, თან ახლდეს შესაბამისი დეტალური აღწერილობა, რათა ჩანდეს ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც კურსის ავტორები უყენებენ სტუდენტებს იმ ზოგადი მოთხოვნების მიღმა, რომლებიც შეფასების გრადაციებში ჩანს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, შეფასების მეთოდებში გამოყენებულ იქნას კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტების შედგენა. • სასურველია სასწავლო პრაქტიკის კურსის სილაბუსში დაზუსტდეს, რა ფორმით მოხდება მიმღებ დაწესებულებაში აქტივობის შეფასება, რომელიც მოიცავს 7 კრიტერიუმს და თითოეული მათგანის შეფასების მაქს. ქულას 10 წარმოადგენს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე იღებენ სათანადო ინფორმაციას. ფაკულტეტის დეკანატი და სასწავლო პროცესების მართვის სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე და აკადემიური საქმიანობის გაუმჯობესებაზე. ასევე, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტს შეუძლია მიიღოს შემდეგი სახის

მომსახურება: განახორციელოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირება, ნახოს სასწავლო ბარათი, მის მიერ არჩეული სასწავლო კურსები, მიღებული შეფასებები, მინიჭებული კრედიტები, გაეცნოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალს, გაეცნოს სილაბუსებს, სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს, გააკონტროლოს გადახდილი თანხები, მიიღოს ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის ცვლილების შესახებ.

სტუდენთა საკონსულტაციო საათების მექანიზმი დარეგულირებულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმის დადგენილებით. აკადემიური პერსონალის მიერ განსახორციელებელი საკონსულტაციო მომსახურების საათები განსაზღვრულია და გაწერილია სილაბუსებში, რაც სტუდენტებისთვის წინასწარაა ცნობილი. გასაუბრების დროს სტუდენტების მიერ აღინიშნა, რომ მათ საშუალება აქვთ, კონსულტაცია გაიარონ სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციული პერსონალთან არა მარტო დაგენილი საათებიის ფარგლებში, არამედ დამატებით სატელეფონო და ელექტრონული საშუალებებით. აღსანიშნავია, რომ რექტორის ინიციატივით უნივერსიტეტში ყოველი თვის ბოლოს იმართება რექტორის საათი. შეხვედრა იმართება თავისუფალ ფორმატში, წინასწარ ცხადდება შეხვედრის დრო და ადგილი. სტუდენტები სურვილის მიხედვით ესწრებიან შეხვედრას.

სტუდენტები იღებენ დასაქმებაზე კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში იმართება დასაქმების ფორუმი. პროგრამის სავალდებულო შემაჯამებელ კომპონენტს წარმოადგენს სასწავლო პრაქტიკა, რომლის განხორციელებაში ჩართულნი არიან ბაკურიანის განვითარების სააგენტო, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციები. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა პროგრამის სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის განხორციელების უზრუნველყოფისა და შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის მზაობა.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდებოდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები. ვიზიტის გასაუბრების პროცესში აღინიშნა პანდემიის ზეგავლენა, რის შედეგად 2020 წელს კონფერენცია გაიმართა ონლაინ მცირე რაოდენობის სტუდენტების ჩართულობით, ხოლო 2021 წელს არ გამართულა. სასურველია, შემუშავდეს ალტერნატიული მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტთა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში ჩართულობა. ასევე, გასაუბრებების დროს ბაკალავრიატის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ მეტად ისურვებდნენ სხვადასხვა მოწვეული ლექტორების ხილვას, სასურველია, ორგანიზებულ იქნას ლექცია-სემინარები.

სტუდენტებს საერთაშორისო მობილობების და პროექტების შესახებ ინფორმაციას აწვდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით მომუშავე უფროსი სპეციალისტი. სტუდენტებს საერთაშორისო მიმართულებით არსებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღება შეუძლიათ უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და უნივერსიტეტის ოფიციალურ FACEBOOK გვერდზე. უნივერსიტეტი თანამშრომლობს აქვს საერთაშორისო უნივერსიტეტთან ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში. გამოკვეთილია საჯარო მმართველობის ბაკალავრიატის სტუდენტების მცირე ჩართულობა ამ პროცესში. სასურველია ამ თანამშრომლობის ფარგლებში სტუდენტების მეტი ინფორმირებულობის და ჩართულობის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია სტუდენტების მონაწილეობა რუმინეთში ზაფხულის და ზამთრის სკოლაში.

მნიშვნელოვანია რომ თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის პროცესში სტუდენტები უშუალოდ იყვნენ ჩართული და მათი ინიციატივით პროგრამიდან ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის და სხვა სამართლის კურსები, რომელიც ჩანაცვლდა საჯარო

მმართველობის სხვადასხვა პროფილური კურსებით.

საჯარო მმართველობის სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ საბიბლიოთეკო სივრცით, სადაც ორგანიზებულია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული წიგნები. პროგრამით გათვალისწინებული კურსების სავალდებულო ლიტერატურა სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელექტორნული სახით, დამატებით შეუძლიათ გამოითხოვონ საჭიროების შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერიტეტში არსებობს სახელმწიფო სტიპენდია წარჩინებულთათვის; საუნივერსიტეტო სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისთვის; ადგილობრივი თვითმმართველობის, კერძოდ მერიის მიერ ახალციხის ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიით დაფინანსება და გარკვეული კატეგორიის სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია სწავლის საფასურის გადახდის შეღავათები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში საჯარო მმართველობა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- გასაუბრების შედეგები;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის კონცეფცია;
- საჯარო მმართველობის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი (2019 წ.).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაძლიერდეს ბაკალავრიატის სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვის უზრუნველყოფისა და მხადაჭერის ღონისძიებები, ასევე, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ საჯარო ადმინისტრირების პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც აერთიანებს, როგორც აკადემიურ ასევე მოწვეულ პერსონალს. სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები სამართლის, ეკონომიკის, ბიზნეს-ადმინისტრირების და სხვა

მომიჯნავე დარგებიდან. თუმცა, უშუალოდ სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) შესაბამისი დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა მინიმალურია და საერთო კონტიგენტის 10 პროცენსტაც არ შეადგენს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 27 პერსონალი, რომელთა შორის 17 აფილირებული აკადემიური პერსონალია (6 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი). აკადემიური პერსონალის კონტიგენტი არ მოიცავს ასისტენტ-პროფესორებსა და ასისტენტებს. დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელთა რაოდენობა მოწვეული 10 პერსონალიდან 8-ს შეადგენს, ხოლო 2 დოქტორანტია.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის სასწავლო შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებისათვის დასტურდება პროგრამაზე დართული პირადი საქმეებით, რომელიც იძლევა ინფორმაციას პერსონალის პუბლიკაციების, კონფერენციებში მონაწილეობისა და სფეროსთან დაკავშირებული სხვა აკადემიური აქტივობების შესახებ. თუმცა, უშუალოდ, სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციების მატარებელ პირთა წილი საკმაოდ მწირია.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საუნივერსიტეტო რეგულაციებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის ცოდნა და გამოცდილება შესაბამისია პროგრამის შემუშავებისა და მართვის საჭიროებებთან.

პროგრამის განხორციელებაში უშუალოდ არის ჩართული იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, ბიბლიოთეკის და ხარისხის უზრუნველყოფისა სამსახურების შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი, რაც უზუნველყოფს პროგრამის მდგრად და შეუფერხებელ განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია, ფუნქციები და საქმიანობის წესი;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელის სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები: CV;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ პროგრამაზე გაიზარდოს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) შესაბამისი დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა, ისევე როგორც გაუმჯობესდეს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) სასწავლო კურსების/კომპონენტების განმახორციელებლი პერსონალის შემადგენლობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მოწვეული ლექტორების აკადემიურ პოზიციაზე დაწინაურებაც, რომელთაც გააჩნიათ ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) სასწავლო კურსების გაძღოლის შესაბამისი კომპეტენციები, ისევე როგორც ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის პოზიციების შევსება ახალგაზრდა კადრებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართულებით, აღსანიშნავია, უსდ-ს მიერ ყოველწლიურად ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციები, მათ შორის ეკონომიკის მიმართულებით. ასევე საგულისხმოა, რომ უსდ აქტიურად მონაწილეობს ერაზმუს + პროგრამაში როგორც ინსტიტუციური განვითარების ასევე სტუდენტების მობილობის უზრუნველყოფის მიმართულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია RURD-ის, DITECH-ის, CURE-ს, ASSET-ის, INTEGRITY-ის და E-PSY-ის პროექტებში მონაწილეობა, რაც არამხოლოდ ინტერნაციონალიზაციის მიმართულების გასაძლიერებლად არის მნიშვნელოვანი, არამედ პროგრამაში ჩართულ პერსონალს აძლევს შესაძლებლობას, რომ გაიზიაროს და სასწავლო პროცესში დანერგოს საერთაშორისო გამოცდილება.

პირადი საქმეების დეტალური ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ გასაძლიერებელია რეფერირებადი პუბლიკაციებისა და თემატურ კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებელიც. შესაბამისად,

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელმა/თანახელმძღვანელმა და უსდ-ს ადმინისტრაციამ გააქტიურონ მუშაობა პერსონალთან სფეროსთან თავსებადი პუბლიკაციებისა და საკონფერენციო ნაშრომების რაოდენობის ზრდის მიზნებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი მოიცავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის წამახალისებელ რამდენიმე ფინანსურ ინსტრუმენტს, საჯარო მმართველობის მიმართულებით სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლების გასაზრდელად რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში აქტიური ჩართვის მიზნით, ასევე მეტად სისტემატიზირებულად მართოს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და შედეგების ანალიზის პროცესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი ინფორმაცია (CV);
- ურთიერთდასწრებისა და საუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი;
- პერსონალის სერტიფიკატები;
- პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში აქტიური ჩართვის მიზნით, ასევე მეტად სისტემატიზირებულად მართოს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და შედეგების ანალიზის პროცესი. შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამის ხელმძღვანელმა/თანახელმძღვანელმა და უსდ-ს ადმინისტრაციამ გააქტიურონ მუშაობა პერსონალთან საჯარო მმართველობის სფეროსთან თავსებადი პუბლიკაციებისა და საკონფერენციო ნაშრომების რაოდენობის ზრდის მიზნებისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე თანდართული დოკუმენტაცია და ონლაინ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები, ისევე როგორც მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, ტექნიკური აღჭურვილობით და მუდმივად განახლებადი ელექტრონული, ისევე როგორც ბეჭდური წიგნადი ფონდით. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომა Scopus-ის, Cambridge-ის ჟურნალების, ElgarOnline-ის, ScienceDirect-ის, Sage-ის და სხვა ელექტრონულ ბაზასთან, რაც ააიპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმში 2017-თან გაფორმებული ხელშეკრულების (#2019/21, 21.01.2019 წ.) საფუძველზე იქნა მიღწეული. 2015 წლის მაისიდან უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიხსნა ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფილიალი - საინფორმაციო ცენტრი, რის საფუძველზეც შესაძლებელია Cambridge Dictionaries Online ლექსიკონებით სარგებლობა. როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან დგინდება და ადგილზე გადამოწმებამაც დაადასტურა, მოთხოვნის შესაბამისად ხელმისაწვდომია ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის როგორც წიგნადი ფონდით, ასევე ელექტრონული წიგნები, დისერტაციები, ჟურნალები, სამეცნიერო შრომები და მრავალი სხვა დოკუმენტი მსოფლიოს 1500-ზე მეტი უნივერსიტეტის ღია სამეცნიერო არქივები. 2019 წლიდან, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სრული დაფინანსებით, სსიპ სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაერთო Elsevier-ის სისტემაში.

სამეცნიერო ბიბლიოთეკას 2 სივრცეზეა გაშლილი - უნივერსიტეტს აქვს აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი თანამედროვე დიზაინით მოწყობილი სამი სამკითხველო დარბაზი, რომელიც განთავსებულია ახალციხეში უნივერსიტეტის პირველ, მეორე სასწავლო კორპუსებსა და ახალქალაქის სასწავლო კორპუსში.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მოიცავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების განხორციელებისათვის აუცილებელ ძირითად და დამხმარე ლიტერატურას ქართულ და უცხოურ ენებზე, რაც დისტანციური დათვალიერების დროსაც აქტიურად დადასტურდა. მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის, ხოლო სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- სამეცნიერო ბაზები/ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე თანდართული დოკუმენტაციის ანალიზისა და ონლაინ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი უზრუნველყოფს, როგორც პროგრამის საჭიროებების დაფარვას ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს უწყობს პროგრამის მდგრადობის შენარჩუნებას.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში ასახულია პროგრამის როგორც განხორციელების, ისე მისი განვითარებისთვის საჭირო ხარჯები: პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პროფესორების შრომის ანაზღაურება; ფაკულტეტის ადმინისტრაციის (დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის სამსახურის უფროსი/სპეციალისტი, სპეციალისტის) შრომის ანაზღაურება; საბაკალავრო ნაშრომის/სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის/სადოქტორო დისერტაციის თემის ხელმძღვანელის ანაზღაურება; აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანადაფინანსება იმპაქტ ფაქტორის ან სხვა საერთაშორისო რეფერირებად/რეცენზირებად ბაზებში რეგისტრირებულ ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომის გამოსაქვეყნებლად; კონფერენციებზე, ფორუმებზე, ტრენინგებსა და სხვა ღონისძიებებში წარგზავნილი

აკადემიური/მოწვეული პერსონალის მონაწილეობის სამივლინებო ხარჯები; სტუდენტთა და თანამშრომელთა კონფერენციების ჩასატარებელი ხარჯები და სამეცნიერო შრომათა, სასწავლო სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების გამოცემის თანადაფინანსება; სტუდენტთა წახალისების (მ. შ. მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა სტიპენდიების, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისადმი დახმარების და სხვა გაუთვალისწინებელი) ხარჯები, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის საჭირო თანხები. შესაბამისად, პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე და უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი **იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის** სამსახური თანამშრომლობს აკადემიურ საბჭოსთან, რექტორთან, წარმომადგენლობით საბჭოსთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის საბჭოსთან, დეკანთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებთან.

ამასთან, ტარდება აკადემიური და მოწვეული **პერსონალის, ადმინისტრაციის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა კვლევა, რაც შეიძლება** გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების ღონისძიებების დაგეგმვის საფუძველი გახდეს. მიღებული შედეგები ეგზავნება **შესაბამის სტრუქტულ ერთეულებს, რათა განისაზღვროს სტრატეგია,** რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციის განვითარების გზით დასახული ნიშნულების მიღწევას. ამ კონტექსტში **როგორც კვლევის შედეგები, ისე მათზე რეაგირების ღონისძიებები აისახება სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებში,** რომლებიც გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს წარედგინება. საბოლოოდ მიიღება გადაწყვეტილებები, რომლებსაც ეფუძნება ცვლილებები, ფასდება დაგეგმილი და განხილული მეთოდები.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ხორციელდება **პრინციპის „დაგეგმე-განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ დახმარებით.** შესაბამისად, დასაწყისში პროგრამა შემუშავდება და დამტკიცდება, ანუ დაიგეგმება შინაარსი და სასწავლო პროცესი როგორც საუნივერსიტეტო, ისე საკანონმდებლო სტანდარტების დაცვით. პროგრამის დამტკიცებამდე უნდა შემოწმდეს ამ მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობა, ხოლო მისი ამოქმედების მომენტიდან აუცილებელია პროგრამის განხორციელების შეფასება. სწორედ **შეფასების ეტაპი მოიაზრებს პროგრამაში ცვლილებების შეტანასაც**. ამ პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით აყალიბებს შესაბამის რეკომენდაციებს პროგრამის სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტებისა და აკადემიურ საბჭოებს.

ამავე დროს, **უმნიშვნელოვანესია სტუდენტთა და აკადემიური/ მოწვეული პერსონალის**

გამოკითხვების წარმოება, რის შედეგადაც შემუშავდება გარკვეული წინადადებები პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის.

ცალკე აღნიშვნის **ღირსია პერსონალის საქმიანობის შეფასება,** რომელიც მოიაზრებს სწავლებისა და კვლევის ხარისხის, საერთაშორისო მობილობისა და სხვა კომპონენტების შემოწმებას. პერსონალის საქმიანობის შეფასება ეფუძნება მათი დატვირთვის სქემას.

აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება:

- ✓ სასწავლო წლის ანგარიშით;
- ✓ მეცადინეობებზე პროგრამის ხელმძღვანელის დასწრების გზით;
- ✓ საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილების გაზიარებისთვის პერსონალის ურთი-ერთდასწრების მექანიზმის დახმარებით;
- ✓ სასწავლო კურსის შესახებ სტუდენტთა გამოკითხვების საშუალებით;
- ✓ როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის თვითშეფასების კითხვარებით. სტუდენტები მათ მუშაობას აფასებენ წინასწარ მომზადებული კითხვარის გამოყენებით.

პროგრამის დაგეგმვის, შეფასებისა და **განვითარების პროცესებში ჩართული იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური/მოწვეული პერსონალი,** ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სპეციალისტებსა და ხელმძღვანელთან ერთად. იმართებოდა შეხვედრები, რომლებსაც ესწრებოდა ყველა დაინტერესებული აქტორი (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, ადმინისტრაციის თანამშრომლები და სხვა). ანალოგიური შეხვედრების შედეგად გაიცა რეკომენდაციები როგორც სილაბუსების, ისე პროგრამის დახვეწის მიმართულებით.

საყურადღებოა, რომ პერსონალის **მუშაობას აფასებს წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭო, შეფასება კი ეფუძნება წლიურ** და მიმდინარე ანგარიშებს. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას დატვირთვის **სქემისა და საუდიტორო მეცადინეობებზე კოლეგიალური ურთიერთდასწრების მექანიზმის** დახმარებით. ურთიერთდასწრება განიხილება პარტნიორი უნივერსიტეტების წარმატებული გამოცდილების გაზიარების გამორჩეულ საშუალებად.

ამავე დროს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამების პერიოდული შეფასება-განვითარებისთვის **ატარებს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევას.** აკადემიური პერსონალის კვლევით დგინდება, როგორია პროფესურის დამოკიდებულება უნივერსიტეტში არსებული სასწავლო გარემოს, პროგრამების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და სხვადასხვა მომსახურების მიმართ. კითხვარის ანალიზის შედეგად არის რეკომენდაციების გაცემისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა, რათა პროგრამა უფრო მეტად დაიხვეწოს და თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობდეს.

გარდა ამისა, ინტერვიუებმა **დაადასტურა, რომ პროგრამის განვითარების პროცესში არიან ჩართული სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები,** აკრედიტაციის მიზნებიდან გამომდინარე. თუმცა უკეთესი იქნება, რომ კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან უკუკავშირის მიღება უფრო ინტენსიურ ხასიათს ატარებდეს, რათა საწყის ეტაპზევე აღმოიფხვრას პრობლემები და აისახოს საჭიროებები პროგრამაში. ამ შემთხვევაში შემდგომ ეტაპზე უფრო მეტად იქნება სამუშაო ჯგუფი ორიენტირებული პროგრამის დახვეწა-განვითარებაზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია უნივერსიტეტის **კვლევითი საქმიანობის კონცეფცია, რომლის მიზანია საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის,** სამეცნიერო კვლევის ორგანიზებისა და განვითარების მხარდაჭერის მექანიზმების, კვლევის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების, კვლევის მიმართულების და კვლევითი საქმიანობის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრა. უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმები, რომლებიც კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზეა ორიენტირებული (ფულადი პრემია, 50 ეგზემპლარი წიგნის უნივერსიტეტის დაფინანსებით გამოცემა და სხვ.).

აქვე საყურადღებოა, რომ სტუდენტთა შეფასებისას ნაშრომები (რეფერატები) მოწმდება აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე. როგორც დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად დადგინდა, სასწავლო კურსების ფარგლებში შესასრულებელი ნაშრომი მოწმდება Turnitin-ის პროგრამით. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (სჯსუ) პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების დებულებაში **გვხვდება რამდენიმეგან სიტყვა „პლაგიატი“, თუმცა მსგავსების კოეფიციენტის დასაშვები პროცენტული ოდენობის განსაზღვრისას სწორადაა გამოყენებული ტერმინი „დამთხვევა“. ამ დებულების მე-12 მუხლის მე-5 პუქნტის** მე-3 ქვეპუნქტის თანახმად, „პლაგიატის, ან თანხვედრის მაჩვენებლის 25% -ზე მეტის განმეორებით დადასტურების შემთხვევაში კომისია წერს დასკვნას, რომლის საფუძველზეც საბაკალავრო ნაშრომს არ მიეცემა მსვლელობა (მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი). მოცემულ შემთხვევაში **ალტერნატივებად არის დასახელებული პლაგიატისა და დამთხვევის** კონკრეტული მაჩვენებლის დადგენა, რაც გაუმართლებელია, ვინაიდან პლაგიატი დარღვევაა, ხოლო მსგავსება შეიძლება არ ქმნიდეს დარღვევის შემადგენლობას თუ პრობლემას. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მსგავსების ანალოგიური კოეფიციენტი გამოიყენება სასწავლო კურსების ფარგლებში შესასრულებელი ნაშრომების მიმართ. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის თვალსაზრისით, ნაშრომში დამთხვევის **25%-ზე მეტის (მაგალითად, 30%-ის) დადგენისას** კვლევა შეიძლება მაინც იყოს გამართული და არ იყოს პლაგიატის **კომისიის ჩართვის აუცილებლობა, თუ წყაროები სათანადოდაა მითითებული,** მით უფრო, როცა ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული აქტები თუ ანგარიშები. თუმცა, მეორე მხრივ, 50%-ზე მეტი ტექსტის მსგავსება შეიძლება პრობლემურად ჩაითვალოს, რადგან ამ შემთხვევაში ტექსტის ნახევარზე მეტში ავტორის ინდივიდუალური ხედვა და დამოკიდებულება არ გამოჩნდება. ამდენად, იგრძნობა დოკუმენტში მსგავსი შემთხვევებისა და საფრთხეების ასახვის საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- განხორციელებული აქტივობები;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N80 დადგენილება „უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“;
- შეხვედრის ოქმები;

- პროგრამის შეფასების შიდა ხარისხის მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთაგან უკუკავშირის მიღება უფრო მეტად ინტენსიური იყოს, რათა პროგრამაში მათი საჭიროებებისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინება დინამიკურ ხასიათს ატარებდეს.
- სასურველია, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების დებულებამ მოიცვას ისეთი შემთხვევებიც, როცა შესრულებულ დავალებაში მსგავსების კოეფიციენტი 25%-ზე მეტია, მაგრამ აკადემიური კეთილსინდისიერება დაცულია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მექანიზმად აღიქმება მისი შემოწმება აკრედიტაციის მოთხოვნების მიხედვით. ამავე დროს, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილია გარე ექსპერტის დასკვნა, რომლითაც პროგრამა **შეფასებულია დადებითად** და **ჩამოყალიბებულია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.** გარე კოლეგიალური შეფასების ფარგლებში არ გვხვდება ექსპერტის პოზიციის მოკლე დასაბუთება, ასევე, რაიმე რეკომენდაცია, რაც, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უფრო სრულყოფილ სურათს შექმნიდა პროგრამის გარე შეფასების საფუძვლების შესახებ.

აქვე საყურადღებოა, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა **2012 წელს. აკრედიტაციის დროს გამოითქვა რეკომენდაციები,** რომლებიც შეეხებოდა:

- პროგრამის ამოქმედებამდე დასაქმების ბაზრის მეტად შესწავლას;
- სწავლის შედეგებში ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მკაფიოდ გამიჯვნას;
- სწავლის შედეგებში საგანმანათლებლო დონის მკაფიო იდენტიფიცირებისთვის შესატყვისი ტერმინოლოგიის „ფართო“, სიღრმისეული და სხვა გამოყენებას;
- ღირებულებების გამომუშავებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებზე მეტი ყურადღების გამახვილებას;
- სასწავლო კურსების სილაბუსებში სალექციო და ჯგუფში მუშაობის საათების თანაფარდობის შეცვლასა და ჯგუფში მუშაობისთვის მეტი დროის დათმობას;
- საარჩევნო სამართლის სილაბუსით ძირითად ლიტერატურაში თეორიული მასალის გათვალისწინებას;
- სასწავლო გეგმის სფეროების მიხედვით სტრუქტურირებულ ჩამოყალიბებას და სხვა.

პროგრამისა და მასზე **თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა, რომ მათი ნაწილი გათვალისწინებულია განახლებულ** პროგრამაში. თუმცა არის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება, რომლის ასახვაც, ვფიქრობთ, პროგრამას წაადგებოდა. მაგალითად, მიზანშეწონილია **ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მკაფიოდ** ასახვა, განსაკუთრებით „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ ნაწილში; ასევე, მნიშვნელოვანია პროგრამით გათვალისწინებულ **სწავლის შედეგებში საბაკალავრო დონის** განმსაზღვრელი ტერმინოლოგიის („ფართო“) აქტიურად გამოყენება; გარკვეულწილად ისევ პრობლემურად რჩება „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ გამომუშავებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების წარმოჩენა. ამჟამადაც უფრო მეტად არის აქცენტები გასაკეთებელი, რომელი სასწავლო კურსები გადის სწავლების შედეგების მესამე კომპონენტზე („პასუხისმგებლობა-ავტონომიურობა“) და რა სპეციფიკით. ამ გზით უზრუნველყოფილი იქნება, ერთი მხრივ, **წინა აკრედიტაციის რეკომენდაციების შესრულება**, მეორე მხრივ, **თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად** პროგრამის განახლება.

აქვე, ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ **ხარისხის შეფასების გარე მექანიზმის ფარგლებში გაჟღერებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტი არ იძლევა დეტალურ განმარტებებს და ამ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს თავად მოუწია დასკვნების გამოტანა.** გარდა ამისა, მართალია, **პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესავალ ნაწილში გვხვდება წლების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების** შესახებ ინფორმაცია, მაგრამ ისინი კონკრეტულად 2012 წლის აკრედიტაციის დროს გაცემულ რეკომენდაციების ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების დეტალურ აღწერას არ შეიცავს და ზოგადი ხასიათისაა. არადა საინტერესოა ბოლო აკრედიტაციისას გამოთქმული **მიგნებების შესრულების თაობაზე მონაცემები კონკრეტული დეტალების მითითებით**. თვითშეფასების ანგარიშის 5.2 კომპონენტში სულ ორი წინადადებაა წარმოდგენილი წინა აკრედიტაციის გათვალისწინებისა და გარე კოლეგიალური შეფასების შესახებ, თუმცა არაა **ცალ-ცალკე ხარისხის შეფასების გარე მექანიზმის ფარგლებში გაჟღერებული რეკომენდაციები და გარე კოლეგიალური** შეფასება ასახული.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მხრიდან 2012 წელს გამოთქმული რეკომენდაციები მეტწილად შესრულებულად ჩაითვალა (შრომის ბაზრის კვლევისა და ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში არსებული კითხვები კვლავ ვალიდურია და ასახულია ჩვენ მიერ წარმოდგენილ შესაბამის ქვესტანდარტებში), სასურველია, წინა აკრედიტაციის ფარგლებში გამოთქმული რეკომენდაციების დაკმაყოფილების შესახებ ინფორმაცია დეტალურად იყოს წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტში. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ **თუ ქართულ და უცხოურ ანალოგ პროგრამებთან დადარება უფრო ინტენსიური ხასიათის** იქნებოდა, წარმოდგენილი პროგრამა შინაარსობრივად უფრო მეტად დაიხვეწებოდა. ამ პროცესში მნიშვნელოვანია პროგრამის ხარისხის **ასამაღლებლად გარე შემფასებლების შეფასებების** (პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან გამოხმაურებები, ანალოგი პროგრამების უცხოელი პროფესორების წინადადებები) **მიღება, რაც პროგრამის განვითარებას მოემსახურება.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გარე ექსპერტის შეფასება; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ 2012 წლის 13 სექტემბრის აკრედიტაციის ოქმი N12; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების მექანიზმი გაიმიჯნოს კოლეგიალური შეფასებისგან, აკრედიტაციისას გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად გადადგმული რელევანტური ღონისძიებები კი სრულად აისახოს თვითშეფასების ანგარიშში;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია, კოლეგიალური შეფასება სრულყოფილ სურათს იძლეოდეს პროგრამის დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ; ▪ სასურველია პროგრამის ხარისხის ამაღლებისთვის გარე შეფასების ისეთი მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა: პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან გამოხმაურებები, მსგავსი პროგრამების უცხოელი პროფესორების წინადადებები და რეკომენდაციები. ▪ სასურველია, წინა აკრედიტაციის ფარგლებში გამოთქმული რეკომენდაციების დაკმაყოფილების შესახებ ინფორმაცია დეტალურად იყოს წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებისას ხდება მისი დეტალური განხილვა, ხოლო პროგრამის **მიმდინარეობისას მოწმდება მისი ეფექტიანობა. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს პროგრამაში შესატანი ცვლილებების საჭიროების** დადგენას. თუ გამოიკვეთა პროგრამის მოდიფიცირების აუცილებლობა, მაშინ განისაზღვრება ამ ცვლილებების გამომწვევი მიზეზები და ის, თუ რა შედეგები მოჰყვება ასეთი ცვლილებების განხორციელებას. საჯარო მმართველობის **საბაკალავრო პროგრამამ გაიარა შემდეგი ეტაპები:**

- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;
- პროგრამის შეფასების პროცედურა;
- პროგრამის განვითარების პროცედურა.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი **სასწავლო პროცესის მართვის შიდა ბაზის მონაცემებს ამუშავებს და შედეგების საფუძველზე წელიწადში ერთხელ ქმნის ანგარიშს** პროგრამის ძირითადი, სავალდებულო კომპონენტების მიხედვით. ანგარიში გამოიყენება შემდგომში პროგრამის სასწავლო კურსების დახვეწისა და განვითარებისთვის.

პროგრამის **მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ეფუძნება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული** და დამხმარე პერსონალის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით მიღებულ მონაცემებს, შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს.

ამასთან, **შემუშავებულია კითხვარების შედგენისა და შედეგების განხილვის მეთოდოლოგია, მათ შორის რესპონდენტ(ებ)ის** ანონიმურობის დაცვის მიმართულებით. კითხვარების დამუშავების მეთოდოლოგია ეხება დასმულ კითხვებზე მიღებული პასუხების დამუშავება-ანალიზსა და საჭიროებისამებრ ჩაღრმავებული კვლევის შედეგად

რეკომენდაციების გაცემას, შესაბამისი სამსახურებისა თუ პერსონალის ინფორმირებასა და უკუკავშირს. ამას მოჰყვება პროგრამაში ცვლილებების შეტანა.

როგორც ინტერვიუსა და დოკუმენტაციის შედეგად დადგინდა, ძირითადი **სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტები აფასებენ სასწავლო კურსს კითხვარების დახმარებით,** რაც გამოიყენება კურსის დასახვეწად. აქვე მნიშვნელოვანია, რომ პროფესორ-მასწავლებლებს სისტემატურად მიაწოდონ ინფორმაცია ყოველსემესტრული გამოკითხვის შედეგების თაობაზე. ეს ხელს შეუწყობს აკადემიურ პერსონალს როგორც სასწავლო კურსის მოდიფიცირებაში, ისე სასწავლო პროცესის განვითარებაში. ამავე დროს, ფასდება **პროგრამის ეფექტიანობა და საჭიროებისამებრ იგეგმება მისი მოდიფიცირება-გაუმჯობესება.** ამ პროცესში პროგრამას აფასებენ ხელმძღვანელები, კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი ესწრება სასწავლო კურსების ლექციებს, რის შემდეგად აანალიზებს მიღებულ შედეგებს. ეს შედეგები, თავის მხრივ, აისახება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრისთვის. საბოლოო ჯამში, ამ გზითაც შესაძლებელია პროგრამის დახვეწა-განვითარება.

ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები პროგრამას აფასებენ:

- სტუდენტთა გამოკითხვის გზით;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით;
- აკადემიური პერსონალის გამოკითხვის საშუალებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის ლექციებზე დასწრების შედეგების ანალიზის დახმარებით;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის გამოყენებით და სხვა.

საყურადღებოა პროგრამის **განვითარების ეტაპი, რა დროსაც უმნიშვნელოვანესია დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა.** ამ პროცესში დაინტერესებული მხარეები არიან დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები; მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, შედის ცვლილებები პროგრამაში და ვითარდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

ამასთან, პროგრამის სასწავლო კურსების **ფარგლებში იქმნება ურთიერთდასწრების გრაფიკი, რომელიც მოიცავს როგორც მეცადინეობებზე პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის** დასწრების, ისე აკადემიური და მოწვეული **პერსონალის ურთიერთდასწრების შესახებ** ინფორმაციას. მიღებულ შედეგებს აანალიზებს და საჭიროებისამებრ რეკომენდაციებს აყალიბებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. წარმოდგენილი მონაცემები გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს, რომელზეც განიხილება შედეგები. **ურთიერთდასწრებისა და სტუდენტთა გამოკითხვის ანგარიშებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის** სამსახური წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, თუმცა პროგრამის განსავითარებლად განსახორციელებელი **რეკომენდაციები განიხილება და იგეგმება ერთობლივად როგორც პროგრამის ხელმძღვანელის, ისე ფაკულტეტებისა** და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

პროგრამის პერიოდული **შეფასება ეფუძნება ყველა დაინტერესებული აქტორის (აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების,** კურსდამთავრებულების და სხვა პირთა) ჩართულობით მიღებული ინფორმაციის დაჯგუფებას, დამუშავებასა და ანალიზს.

ამ შედეგების საფუძველზე იგეგმება პროგრამის დახვეწა-მოდიფიცირება. საჭიროებისამებრ გამოიყენება განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება კოლეგების დასწრების გზით. დასწრების მიზანია სწავლების ხარისხის **გაუმჯობესება და პოზიტიური გამოცდილების გაზიარება. ასევე, აღსანიშნავია, რომ სტუდენტები პერიოდულად აფასებენ** სასწავლო კურსებს კითხვარების დახმარებით.

ამასთან, მონიტორინგის **მიზნით შეიძლება კოლეგიალური შეფასებების შედეგად გენერირებული ანგარიშებისა და კოლეგიალური ურთიერთდასწრების** მექანიზმების გამოყენება. ურთიერთდასწრების ფორმების შევსების შედეგად სრული წარმოდგენა იქმნება ჩატარებული სასწავლო ღონისძიებების დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ, რაც **აძლევს პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სასწავლო კურსების უფრო დეტალური** მონიტორინგის საშუალებას. ეს უდავოდ საყურადღებო და ძალიან მნიშვნელოვანი მექანიზმია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს **ჩაღრმავებულ ანალიზს და მონიტორინგის გაძლიერებას** სასწავლო კურსების სილაბუსებში როგორც სწავლების მეთოდთა, ისე სავალდებულო ლიტერატურის განახლების მიმართულებით (დეტალურად იხ. 2.3 და 2.5 კომპონენტები).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სწავლის **შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს** იყენებდნენ, მაგრამ ახლა არ ახორციელებენ, რადგან ახლა დახვეწის პროცესშია და მუშაობის დასრულების შემდეგ დაიგეგმება ამ მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, სწავლის შედეგების შეფასება ინტენსიურ ხასიათს ატარებდეს. ასევე, ინტერვიუს დროს გამოითქვა, რომ მემორანდუმები უნდა გაფორმდეს ორგანიზაციებთან და ამ კუთხით აგრძელებენ მუშაობას. ფაქტია, რომ უფრო მეტია სამუშაო მემორანდუმების განახლებასა და გაფართოებაზე, რაც ფაქტობრივად პრაქტიკული კომპონენტის ეფექტიანად განხორციელებას უზრუნველყოფს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის მიზნები სრულად შესრულდეს (დაწვრილებით იხ. 2.4. კომპონენტი).

ამავე დროს, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა საჭიროებს **მომიჯნავე სფეროებიდან უნივერსიტეტის შიდა ინტელექტუალური** რესურსის უფრო მეტად გამოყენებასა და აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში დარგის სპეციალისტთა მოზიდვას (იხ. სტანდარტი 4.). ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება, რასაც ინტერვიუს დროსაც აფიქსირებენ ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დისტანციური სწავლების ადმინისტრირება. ელექტრონული სწავლებისას მოითხოვს პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი, მით უფრო, პანდემიის პირობებში. „პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, **ონლაინშეხვედრების, ონლაინსწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეოგამოსახულება) განიხილება ადამიანის** პერსონალურ მონაცემებად. ამდენად, პანდემიის დროს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უნდა იყოს ასახული ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესში. ასევე, გასათვალისწინებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წელს შემუშავებული რჩევები უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნ-ველყოფის თაობაზე. ცხადია, მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია დისტანციური სწავლების ადმინისტრირების წესი და გათვალისწინებულია ელექტრონ-ული სწავლების უზრუნველყოფის ამსახველი დოკუმენტი, მაგრამ, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, **ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი დაიხვეწოს და მან მოიცვას სასწავლო პროცესის სრული ციკლი; სახელდობრ,** კარგი იქნება, **ასეთმა დოკუმენტმა დაარეგულიროს დისტანციური სწავლების ისეთი არსებითი საკითხებიც,** როგორიცაა: ა. ლექციის ვიდეოჩაწერის დასაშვებობა და დამსწრეთაგან ნებართვის მიღება; ბ. ლექციების აუდიო/ვიდეოჩანაწერების და/ან ფოტოების გამოყენება პერსონალური მონაცემების დაცვით და მხოლოდ სასწავლო მიზნებისთვის; გ. შუალედური და ფინალური გამოცდების (და არა მხოლოდ ლექცია-სემინარების) ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურები და სხვა. მართალია, შესაძლოა, პანდემიის მალე დასრულდეს, მაგრამ ვიდრე პანდემიის პირობებში ვიმყოფებით **და თუნდაც მომავალში პროფილაქტიკური მიზნებისთვის, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ამ წინადადებების გათვალისწინება უნივერსიტეტს ხელს შეუწყობს, უფრო მეტად უზრუნველყოს ელექტრონული სწავლების ხარისხი და მართოს არსებული თუ მომავლის გამოწვევები.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; ○ საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://sjuni.edu.ge/ ; ○ უნივერსიტეტის სტრუქტურა; ○ ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ სტრატეგიული გეგმა; ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მემორანდუმები/ხელშეკრულებები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები სასწავლო კურსების დახვეწის, სასწავლო პროცესის განვითარების, საწარმოო პრაქტიკის შესრულების, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის, პრაქტიკული კომპონენტის გაზრდისა და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიმართულებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

• სასურველია, პროფესორ-მასწავლებლებს უფრო მეტად და ინტენსიურად მიაწოდონ ინფორმაცია ყოველსემესტრული გამოკითხვის შედეგების თაობაზე. • კარგი იქნება, უნივერსიტეტმა დახვეწოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი და მან მოიცვას სასწავლო პროცესის სრული ციკლი (შუალედური და ფინალური გამოცდები, გასაჩივრება და სხვა), ასევე, ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი წინადადებები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 51 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნანა მაჭარაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ფარსადანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა მიხეილ ბიჭია

სახელი, გვარი, ხელმოწერა დავით კაკიაშვილი